სოციალური და ემოციური ქცევითი სირთულეების პრევენცია სკოლამდელ დაწესებულებებში.

ნინო მირინაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის - ბიზნესის ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სპეციალური განათლების მაგისტრის ხარისხის მინიჭების შესაბამისად

სპეციალური განათლების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ხათუნა დოლიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ქალბატონ ხათუნა დოლიძეს, რომელიც აქტიურად იყო ჩართული სამუშაო პროცესში, მაძლევდა მითითებებს, რეკომენდაციებს და მყისიერად მიბრუნებდა უკუკავშირს ჩატარებული სამუშაოების შესახებ.

მოცემული ნაშრომის შესასრულებლად, კვლევითი საქმიანობის თითოეულ ეტაპზე, ონლაინ შეხვედრაზე განვიხილავდით უკვე ჩატარებულ თუ მომავალში ჩასატარებელ სამუშაოებს, რაც მეხმარებოდა პროცესის განხორციელებაში.

ასევე, მინდა, მადლობა გადავუხადო თბილისის ერთ-ერთი საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორს და თანამშრომლებს, რომლებმაც მომცეს საშუალება მათ სასწავლო პროცესზე დაკვირვებითა და მათთან ინტერვიუების საშუალებით გამომეკვლია ნაშრომში წარმოჩენილი საკითხები.

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორის მიერ აქამდე გამოსაქვეყნებლად გამზადებულ, ან დასაცავად წარსადგენ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის გარკვეული პასაჟები გამოყენებულია სამაგისტრო სემინარის დავალების ფარგლებში.

24.06.2022

აბსტრაქტი

ბავშვის განითარების თავისებურებებიდან გამომდინარე, სკოლამდელი ასაკი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდია ადამიანის ცხოვრებაში. მოცემულ ეტაპზე მიღებული გამოცდილება დიდ როლს თამაშობს პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში.

განვითარების გზაზე ერთ-ერთი საყურადღებო და მნიშვნელოვანი სფეროა ემოციური და სოციალური განვითარება, რომელიც განსაზღვრავს შემდგომში ადამიანის უნარს დაამყაროს ურთიერთობა გარე სამყაროსთან და ჰქონდეს საკუთარი და სხვისი ემოციებისა თუ ქცევის აღქმისა და გაგების შესაძლებლობა.

მოცემული ნაშრომის მიზანია სკოლამდელ დაწესებულებებში სოციალური და ემოციური ქცევითი სირთულეების პრევენციის კუთხით არსებული მდგომარეობის დადგენა.

საკვლევი საკითხიდან გამომდინარე დამუშავდა სოციალური და ემოციური კომპეტენციის განვითარებისა და მნიშვნელობის შესახებ არსებული ლიტერატურა. გამოიკვეთა ის ძირითადი სტრატეგიები და მიდგომები, რომელთა სწორად გამოყენებაც მსგავსი ტიპის ქცევითი სირთულეების პრევენციისკენ არის მიმართული.

ნაშრომის ფარგლებში ჩატარდა თვისობრივი კვლევა, რომელიც საბავშვო ბაღში კონკრეტული ინსტრუმენტის გამოყენებით დაკვირვებასა და აღმზრდელებთან სიღრმისეულ ინტერვიუს მოიცავს.

კვლევის ორივე მეთოდის შედეგები ნაშორმში წარმოდგენილია ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. დაკვირვების შედეგები აღწერს საბავშვო ბაღში რეალურად მიმდინარე პროცესებს, ხოლო სიღრმისეულ ინტერვიუში გადმოცემულია რესპოდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია იმის შესახებ თუ როგორ ახორციელებენ სოციალური და ემოციური ქცევითი სირთულეების პრევენციას.

დასკვნით ნაწილში კი გაკეთებულია შეჯამება, რომელიც აღნიშნული მეთოდებით მიღებული შედეგების მიმართებას აღწერს და გვიჩვენებს აღმზრდელთა მიერ

ინტერვიუში გადმოცემული ინფორმაცია სოციალური და ემოციური ქცევითი სირთულეების პრევენციული ღონისძიებებისა და სტრატეგიების შესახებ რამდენად შეესაბამება სასწავლო - სააღმზრდელი პროცესში დაკვირვების შედეგად მიღებულ მონაცემებს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სოციალური-ემოციური განვითარება, პრევენცია, სოციალურ ემოციური უნარების სწავლება ადრეულ ასაკში.

Annotation

Due to the peculiarities of a child development, preschool age is one of the most important periods in a person's life. The experience gained at this stage plays a huge role in the process of formation of personality.

Emotional and social development is one of the most significant and crucial directions in the development process; it determines a person's ability to further establish communication with the outside world and the ability to perceive and understand one's own and others' emotions or behavior.

The article aims to determine the current state of prevention of social and emotional behavioral difficulties in preschool institutions.

Based on the research issue, available materials on the development and significance of social-emotional competence has been studied. The main strategies and approaches, the correct use of which is aimed at preventing such types of behavioral difficulties, have been identified.

As part of the work, we have studied characteristics which included observation in the kindergarten using a specific tool and in-depth interviews with educators.

The results of both research methods are presented in the article independently of each other. The results of the observation describe the real processes taking place in the kindergarten, and the in-depth interviews present the information provided by the respondents on how they implement the prevention of socio-emotional behavioral difficulties.

The closing part of the article gives summarization which describes obtained results and shows how the information provided by the educators in interviews regarding preventive measures of socio-emotional behavioral difficulties and strategies correspond to the data obtained as a result of observation in the educational process.

Key words: socio-emotional development, prevention, social-emotional teaching.